



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

29 ნოემბერი 2023



N 666/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ეწერში შპს „იმერსტოუნის“ სასარგებლო წიაღისეულის (ტემენიტი და კირქვა) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „იმერსტოუნის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ეწერში სასარგებლო წიაღისეულის (ტემენიტი და კირქვა) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ეწერში, ფ/კ იოსებ ბოჭორიშვილის საკუთრებაში არსებულ, 594 მ² ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 33.07.36.547), რომელსაც შპს „იმერსტოუნის“ ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ქვის დამამუშავებელი საამქროს (250 მ²) მშენებლობის მიზნით 2023 წლის 8 თებერვალს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემულია მშენებლობის ნებართვა (ბრძანება: ბ28. 282303920).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, საპროექტო ტერიტორიაზე დაწყებულია შენობის მოწყობის სამუშაოების განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე (ს/კ: 33.07.36.547) გათვალისწინებულია ტემენიტისა და კირქვის სახერხი და სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობა, რომელიც განთავსდება 250 მ² ფართობის მქონე შენობაში. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 660 მეტრით. საწარმოდან დაახლოებით 220 მეტრში მდებარეობს ეკლესია, 360 მეტრში – E60 ავტომაგისტრალი, ხოლო 420 მეტრში – მეფრინველეობის ფერმა. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ყვირილა, მიედინება საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 890 მეტრში. საწარმოსთან მისასვლელად გამოყენებული იქნება შიდა სასოფლო გზა, რომელიც არ გადის დასახლებულ პუნქტზე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტზე გათვალისწინებულია წელიწადში 400 მ³ ბუნებრივი ქვის (ტემენიტი და კირქვა) სველი მეთოდით ხერხვა-გაპრიალება. აღსანიშნავია, რომ საწარმოში ქვის დამამუშავების მეთოდის გათვალისწინებით, საქმიანობა არ საჭიროებს ატმოსფერული ჰაერის

დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავებას. ობიექტზე ნედლეულის შეზიდვა მოხდება ლიცენზირებული კარიერებიდან, კომპანიის კუთვნილი ავტოთვიტმცლელების საშუალებით, რისთვისაც გამოყენებული იქნება დაახლოებით 160 მეტრში მდებარე შიდა სასოფლო გზა, რომელიც უერთდება E60 ავტომაგისტრალს. საწარმოს ნედლეულით მოსამარაგებლად წელიწადში განხორციელდება დაახლოებით 50 სატრანსპორტო ოპერაცია. ობიექტზე შეტანილი ნედლეული დროებით განთავსდება შენობის გარეთ გათვალისწინებულ სასაწყობე მოედანზე, საიდანაც ტელფერისა და ბაგირის საშუალებით, მიეწოდება სახერხ დაზგას. ტემენიტისა და კირქვის ხერხვის შედეგად, წარმოიქმნება მცირე რაოდენობით (60 მ³/წელ) არაკონდიციონირებული ნატეხები, რომლებიც ხელით ჩაიყრება ყბებიან სამსხვრევ დანადგარში. დამსხვრეული ნედლეული მიეწოდება ცილინდრულ, მბრუნავ საცერს და დახარისხდება სხვადასხვა ზომის ფრაქციებად. მიღებული პროდუქცია ჩაიყრება ცხავის ქვეშ, საიდანაც ხელის ნიჩბით დაფასოვდება ტომრებში. ობიექტზე წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციოდ გასატანად განხორციელდება წელიწადში დაახლოებით 60 სატრანსპორტო ოპერაცია. საწარმო იმუშავებს წელიწადში 300 დღე, 12-საათიანი სამუშაო რეჟიმით (3 600 სთ/წელ) და დასაქმდება 7 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტზე წყლის გამოყენება დაგეგმილია სასმელ-სამეურნეო და საწარმოო დანიშნულებით. საწარმოს სასმელი წყლით მომარაგება განხორციელდება ჩამოსხმული სახით, ხოლო სამეურნეო და საწარმოო დანიშნულებით წყალაღება გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 33.07.36.546) მოწყობილი ჭაბურღილიდან, რისთვისაც მოპოვებული იქნება შესაბამისი ლიცენზია. ჭაბურღილის განთავსების წერტილის GPS კოორდინატებია: X-327347, Y-4672955. საწარმოო დანიშნულებით, კერძოდ, ტემენიტისა და კირქვის დასამუშავებლად გათვალისწინებულია, ერთჯერადად, 4 300 მ³ წყლის აღება, რომელიც ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენების შემდგომ, შემკრები არხების მეშვეობით, მიეწოდება სამგანყოფილებიან სალექარს (ჯამურად 18 მ³) საიდანაც, მექანიკური გაწმენდის შემდეგ, კვლავ დაბრუნდება ტექნოლოგიურ პროცესში. ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის გათვალისწინებით, ობიექტზე საწარმოო დანიშნულებით წყალაღება საჭირო იქნება მხოლოდ დანაკარგის (10%) შესავსებად, რაც წლიურად შეადგენს 430 მ³-ს. დოკუმენტის თანახმად, სამეურნეო დანიშნულებით საჭირო წყლის რაოდენობა, ობიექტზე დასაქმებული პერსონალის რაოდენობის (7 ადამიანი) გათვალისწინებით, იქნება 35.5 მ³/წელ. საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შეგროვება მოხდება საასენიზაციო ორმოში, რომელიც მოეწყობა სანიტარულ კვანძთან ერთად და რომლის დაცლა განხორციელდება, საჭიროებისამებრ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება სანიაღვრე წყლებს, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ტექნოლოგიური უბანი განთავსდება დახურულ შენობაში და საპროექტო ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების პოტენციური წყაროები არ იქნება წარმოდგენილი, მათი ორგანიზებული შეკრება არ იგეგმება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელია შემდეგი მავნე ნივთიერებების გამოყოფა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა: არაორგანული მტვერი, აზოტის დიოქსიდი, ნახშირჟანგი, გოგირდის ორჟანგი, ჭვარტლი და ააონ-ები. დოკუმენტში წარმოდგენილია ობიექტის ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები. დოკუმენტის შესაბამისად, საწარმოს წარმადობის, ტექნოლოგიური ციკლის, უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ტექნოლოგიური პროცესები განხორციელდება დახურულ შენობაში, ობიექტის

ფუნქციონირებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნისა და გავრცელების ძირითადი წყარო იქნება ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. დოკუმენტში წარმოდგენილია ობიექტის ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშების შედეგები, რომლის მიხედვით, საწარმოდან 220 მეტრში მოსალოდნელი ხმაურის დონე ნორმაზე ნაკლებია და შეადგენს 36.56 დბა-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან (660 მეტრი) ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ვინაიდან, საწარმოს შენობა წარმოადგენს ლითონკონსტრუქციას, მისი მოწყობის პროცესში მოსალოდნელია მცირე რაოდენობის ლითონის ჯართის წარმოქმნა, რომელიც სამუშაოების დასრულების შემდგომ, გადაეცემა ჯართის მიმღებ პუნქტებს. რაც შეეხება ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპს, საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი უნარჩენია, თუმცა, ობიექტზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, სახიფათო და მცირე რაოდენობის ლითონის ჯართის წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში, ხოლო ლითონის ჯართი განთავსდება მისთვის გამოყოფილ ბაქანზე. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს მუნიციპალური სამსახური, სახიფათო ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას, ხოლო ლითონის ჯართი ჩაბარდება ჯართის მიმღებ პუნქტებს. რაც შეეხება სამგანყოფილებიან სალექარში წარმოქმნილ შლამს, იგი წარმოადგენს პროდუქტს და მისი გამოყენება შესაძლებელია სამშენებლო მასალების წარმოების პროცესში. სალექარში წარმოქმნილი შლამის გაუწყლოება განხორციელდება სალექარშივე, არასამუშაო დღეებში და გაუწყლოების შემდგომ გატანილი იქნება სარეალიზაციოდ.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმოს ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 220 მეტრში მდებარეობს ეკლესია. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის სისტემაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, საპროექტო საწარმოს ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები და იგი არ ექვევება რომელიმე ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონაში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. სამშენებლო სამუშაოები არ ითვალისწინებს გრუნტის ექსკავაციას, ვინაიდან, საწარმოს შენობის საყრდენი კედლები დაფუძნებული იქნება წერტილოვან საძირკვლებზე. ყველა ტექნოლოგიური დანადგარი განთავსდება შენობის შიგნით, არმირებული ბეტონით დაფარულ ტერიტორიაზე. დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია შემოღობილია, შენობის გარე პერიმეტრი დაფარულია ღორღის ფენით, ხოლო ღობის გასწვრივ დარგულია ხე-მცენარეები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოს სიახლოვეს არ ფიქსირდება ანალოგიური პროფილის მქონე ობიექტ(ებ)ი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის ადგილმდებარეობის, წარმადობის და მახასიათებლების გათვალისწინებით, საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ეწერში შპს „იმერსტოუნის“ სასარგებლო წიაღისეულის (ტემენიტი და კირქვა) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „იმერსტოუნის“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „იმერსტოუნს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „იმერსტოუნის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

